

საქართველოს მთავრობის
დადგენილება
N 406 2010 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საჯარო
სამართლის იურიდიული პირის _ საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტოს და სხვა მარეგისტრირებელი ორგანოს
მიერ საგადასახადო ორგანოში ინფორმაციის წარდგენის წესის
დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 204-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ქონების გადასახადის ადმინისტრირების მიზნით:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისმა სარეგისტრაციო სამსახურმა ყოველი წლის 10 აპრილამდე შესაბამის საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს მიმდინარე საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით მიწის მესაკუთრე ფიზიკურ პირთა სიები, დანართის შესაბამისად, რომელიც სავალდებულო წესით უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

- ა) სახელი, გვარი და პირადი ნომერი;
- ბ) მიწის ფართობი და მისამართი;
- გ) მიწის დანიშნულება (სასოფლო-სამეურნეო, არასასოფლო-სამეურნეო).

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა ყოველი წლის 10 აპრილამდე შესაბამის საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს:

ა) ინფორმაცია მიმდინარე საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით სახელმწიფო მიწის მოსარგებლეებისა და მფლობელების შესახებ, დანართის შესაბამისად;

ბ) ინფორმაცია გასული საგადასახადო წლის განმავლობაში ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ იახტებზე (კატარღებზე), შვეულმფრენებსა და თვითმფრინავებზე მისი მესაკუთრის სახელის, გვარის და პირადი ნომრის მითითებით.

3. ეთხოვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომ შესაბამის საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ: (24.12.2012 N20)

ა) ყოველი წლის 10 აპრილამდე – ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიწის მოსარგებლეებისა და მფლობელების შესახებ მიმდინარე საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით, დანართის შესაბამისად;

ბ) ყოველი წლის 15 თებერვლამდე – ინფორმაცია მათ მიერ შემოდებული მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთების შესახებ.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ნიკა გილაური

დანართი

ინფორმაცია მიწის შესახებ
201 წლის 1 აპრილის მდგომარეობით

N	მიწის მესაკუთრე/მოსარგებლე		დასაბეგრი მიწის მონაცემები							მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი		შენიშვნა
	დასახელება/სახელი, გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი	კერძო საკუთრება*	სახელმწიფო/თვითმმართველობის მიწით სარგებლობა/მფლობელობა*	დანიშნულეზა	ზომის ერთეული (ჰა/მ ²)**	ფართობი	საკადასტრო კოდი	მისამართი	საბაზისო განაკვეთი	დადგენილი განაკვეთი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1												
2												
3												
4												
5												

* – შესაბამისი გრაფა უნდა აღინიშნოს «V» ასოთი;

** ჰა – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შემთხვევაში;

კვ.მ – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შემთხვევაში.